დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5

2025 წლის 26 თებერვალი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინიციატივების თანადაფინანსება“ (კოდი 0504) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 მაისის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინიციატივების თანადაფინანსება“ (კოდი 0504) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 მაისის №33 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/05/2021, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016411) და დადგენილებით დამტკიცებული „დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინიციატივების თანადაფინანსება“ (კოდი 0504) განხორციელების წესის“:

1. **პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინიციატივების თანადაფინანსება“ – (კოდი – 0504) განხორციელების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საერთაშორისო და ადგილობრივი დაფინანსების (გრანტები) მოზიდვის შემთხვევაში ან პროექტის ინიციატორის მიერ საკუთარი დაფინანსებით, ახალგაზრდა ინიციატორთა ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების თანადაფინანსების პროცედურებს და პირობებს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ქვეპროგრამის ფარგლებში.“

2. **მე-2 მუხლის:**

ა) **„ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) პროექტის ინიციატორი/განმცხადებელი – ფიზიკური პირი 18-წლიდან ან იურიდიული პირი, რომლის იდეა/პროექტი ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ 14-დან 30 წლამდე ახალგაზრდების განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს, ასევე ახალგაზრდობის ჩართულობას."

ბ) „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პროექტი - პროექტის ინიციატორის ან დონორის მიერ დაფინანსებული იდეა, რომლის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარება."

გ) „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) თანადაფინანსება – პროექტის ინიციატორის ან დონორის მიერ დაფინანსებული გამარჯვებული ინიციატივების თანადაფინანსება."

3. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს მოქალაქე(ებ)ი 18 წლიდან, ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი პირი), რომელმაც მოიპოვა პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიზნის შესაბამისი დაფინანსება „დონორის" მიერ ან თვითონ მოახდენენ პროექტის/ინიციატივის თანადაფინანსებას.

ა.ბ) „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი ან „დონორის" დაფინანსებით დმანისის მუნიციპალიტეტში ახორციელებს ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიმართულებების შესაბამის პროექტს."

ბ) მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თანადაფინანსება შესაძლოა განხორციელდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განსახორციელებელ პროექტებზე, რომელიც დაფინანსებულია „დონორის" ან პროექტის ინიციატორის მიერ და მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ მიმართულებას მაინც:"

4. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის მომართვის შემთხვევაში:"

ბ) „ა.ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ) დაფინანსების მოპოვების დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაცია (დონორის მიერ დაფინანსების შემთხვევაში) ან პროექტის საკუთარი დაფინასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;"

გ) „ბ.ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ) პროექტის დაფინანსების მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დონორის მიერ დაფინანსების შემთხვევაში) ან პროექტის საკუთარი დაფინასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;“

5. მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-2 პუნქტი.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**